



ადამიანზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისთვის

ადვოკატთა ასოციაციის ხედვა სანდო, გამჭვირვალე და ხარისხიანი
მართლმსაჯულების სისტემის განვითარებისთვის

მიმართულებები





მართლმსაჯულების სისტემის არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ნდობის გაზრდის საუკეთესო გზა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის დემოკრატიზაციაზე გადის, რისთვისაც საჭიროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- 1) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის გაძლიერება;
- 2) კომერციული დავების განხილვაში მსაჯული მოსამართლის ინსტიტუტის შემოტანა;
- 3) არბიტრაჟისა და კომერციული მედიაციის განვითარება და პოპულარიზაცია.



სასამართლო სისტემაში გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდისთვის აუცილებელია, სასამართლოს მართვის პროცესი, ისევე როგორც მოსამართლეთა დანიშვნა-დაწინაურება-დისციპლინური წარმოების პროცესი გახდეს ინკლუზიური შემდეგი ნაბიჯების გადადგმის გზით:

1) დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;

2) ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოში;

3) ადვოკატთა ასოციაციის როლის რეგლამენტირება მოსამართლეთა შეფასება-შერჩევის პროცესში.

მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარება, ხარისხიანი იურიდიული სერვისების უზრუნველყოფა და მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა პროფესიული კომპეტენციის გაზრდა შემდეგი ნაბიჯების გადადგმის გზით:



- 1) მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (ბენჩ-ბარი) შემდგომი განვითარება და გაძლიერება;
- 2) სასამართლოში კვალიფიციური იურიდიული სერვისების მიწოდებით, მხარეთა კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფა;
- 3) ადვოკატთა ასოციაციაში პრო-ბონო ცენტრის დაარსება;
- 4) ვიწრო სპეციალიზაციის სისტემის დანერგვა;
- 5) მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა განგრძობადი განათლების სისტემების სინქრონიზაცია;
- 6) ელექტრონული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება.

ნდობა - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა

ა)საჭიროა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სრული პროცესის სიღრმისეული შეფასება და გამოვლენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა;

ბ)საჭიროა გაძლიერდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობები;

გ)საჭიროა განხორციელდეს კომპლექსური პოპულარიზაციის კამპანია ნაფიც მსაჯულთა სისტემის მიმართ საზოგადოებრივი განწყობების შეცვლისა და მსაჯულების საქმიანობის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნაწილად გადაქცევის მიზნით;

დ)საჭიროა გაძლიერდეს მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა კვალიფიკაცია და უნარები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის წარმართვის მიმართულებით, ინტენსიური ტრენინგების და სასწავლო პროგრამების განხორციელების გზით;

ე)საჭიროა გაფართოვდეს ნაფიც მსაჯულთა სისასამართლოს განსჯადობა ყველა ძალადობრივ დანაშაულებზე და ეტაპზრივად გავრცელდეს სხვა დანაშაულებზეც, რათა ბრალდებულებს მიეცეთ შესაძლებლობა აირჩიონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მათ შორის - რეზონანსულ და პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებზე;

ვ)სიღრმისეულად უნდა გაანალიზდეს დიდი ჟიურის მექანიზმის დანერგვის მიზანშეწონილობის საკითხი, რათა თავიდან იქნას აცილებული წინააღმდეგობრივად და საექვოდ აღქმული ბრალის წარდგენის შემთხვევები.



ნდობა - მსაჯული მოსამართლის მექანიზმი კომერციულ დავებში

ა)სიღრმისეულად უნდა გაანალიზდეს ევროპული ქვეყნების გამოცდილება კომერციულ პალატებთან მიმართებით, რომელიც სასამართლო სისტემის ფარგლებში ფუნქციონირებს და რომლის შემადგენლობაშიც პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად შედიან მსაჯული მოსამართლეები ბიზნეს სექტორიდან (მაგ. გერმანული, ავსტრიული, ფინური მოდელები). აღნიშნულის საფუძველზე საჭიროა შემუშავდეს მსგავსი მოდელის საქართველოს სასამართლო სისტემაში ინტეგრირების სამოქმედო გეგმა;

ბ)საჭიროა შემუშავდეს სამართლიანი და გამჭვირვალე კრიტერიუმები და პროცედურები, როგორც შესაბამისი კომპეტენციების მქონე პროფესიონალი მოსამართლის შერჩევის, ასევე, სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ბიზნეს ასოციაციების მონაწილეობით, მაღალი რეპუტაციის მსჯული მოსამართლეების ნომინირება-შერჩევისთვის;

გ)ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის გზით, სასამართლო სისტემის ფარგლებში საჭიროა დაარსდეს სპეციალიზებული კომერციული პალატები, რომელიც განსჯად საქმეებს განიხილავენ 1 პროფესიონალი და 2 მსაჯული მოსამართლის შემადგენლობით;

დ)საჭიროა განხორციელდეს ახალი კომერციული პალატების შესამღებლობების გაძლიერების აქტივობები.



ნდობა - არბიტრაჟისა და კომერციული მედიაციის განვითარება

ა) ახალი კომერციული პალატების ფარგლებში, დავის არსებითი განხილვის ეტაპამდე, კომერციული მედიაციის საფეხურის შემოტანა და წახალისება;

ბ) ამოქმედდეს პროფესიათაშორისი პლატფორმა ბიზნეს წარმომადგენლების, ადვოკატების, მოსამართლეების, არბიტრების, მედიატორების, ნოტარიუსების, აღმასრულებლების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმება არბიტრაჟისა და მედიაციის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრის გზები;

გ) განხორციელდეს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების პოპულარიზაციის იმგვარი კამპანია, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოების ცნობიერებას გაზრდის ამ მიმართულებით, არამედ წახალისებს ადამიანებს, კომპანიებს და იურისტებს, რომ მათ უფრო აქტიურად გამოიყენონ აღნიშნული მექანიზმები.



გამჭვირვალობა - იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმომადგენლობა

ა)საჭიროა საკანონმდებლო ჩარჩოს, მათ შორის საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 47.5 მუხლის იმგვარად ჩამოყალიბება, რომ პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევის დროს, უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატთა ასოციაციის, ასევე სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ ნომინირებული სიიდან კანდიდატის/ების საბჭოში წარმომადგენლობა;

ბ)მაღალი კვალიფიკაციის კანდიდატთა შერჩევანომინირების მიზნით ადვოკატთა ასოციაციაში და სხვა დამოუკიდებელ ინსტიტუტებში დაინერგოს გამჭვირვალე და ობიექტური შერჩევის მექანიზმები.



გამჭვირვალობა - იუსტიციის უმაღლეს სკოლაში წარმომადგენლობა

ა)საჭიროა საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 66³.4 მუხლი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციის მიერ ნომინირებული სიიდან კანდიდატის/ების წარმომადგენლობა;

ბ)მაღალი კვალიფიკაციის კანდიდატთა შერჩევა-ნომინირების მიზნით, საჭიროა ადვოკატთა ასოციაციაში დაინერგოს გამჭვირვალე და ობიექტური შერჩევის მექანიზმი.



გამჭვირვალობა - ადვოკატთა ასოციაციის როლი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში

იმისთვის, რომ ამაღლდეს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის ხარისხი, საჭიროა აღნიშნულ პროცესში გაიზარდოს და რეგლამენტირდეს ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობა შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:

- ❑ ადვოკატთა ასოციაციაში დაარსდეს კანდიდატთა შეფასების სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ მაღალი რეპუტაციის მქონე ადვოკატები და მეცნიერები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები სამოსამართლო და საპროკურორო გამოცდილებით;
- ❑ თითოეული კანდიდატის ობიექტური შეფასების მიზნით ადვოკატთა ასოციაციაში დაინერგოს კანდიდატთა შეფასების სპეციალური მეთოდოლოგია და კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც კანდიდატები შეფასდებიან როგორც - „მაღალკვალიფიციური“, „კვალიფიციური“ და „ნაკლებად კვალიფიციური“.
- ❑ ადვოკატთა ასოციაციასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის ამოქმედდეს ეფექტიანი საკომუნიკაციო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ასოციაციის მიერ შემუშავებული შეფასებების სრულყოფილ განხილვა-გათვალისწინებას.



ხარისხი - ბენჩ-ბარის მექანიზმის გაძლიერება

ერთგვაროვანი და განჭვრეტადი სასამართლო პრაქტიკისა და ადამიანებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის, ისევე როგორც სასამართლო სისტემაში მიკერძოებებისა და კორუფციის რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მართლმსაჯულების სისტემის მთავარ აქტორებს შორის საჭიროა განვითარდეს დიალოგისა და თანამშრომლობის კულტურა შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:

- ❑ მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (ბენჩ-ბარი) შემდგომი გაძლიერება და პოპულარიზაცია;
- ❑ ბენჩ-ბარის მექანიზმის დანერგვა ადგილობრივ (რეგიონულ) დონეზე და მათი საქმიანობის ხელშეწყობა;
- ❑ ბენჩ-ბარის აქტიური გამოყენება იურიდიული პროფესიის საერთო ეთიკურ პრინციპებსა და სასამართლო დარბაზებში ქცევის წესებზე შეთანხმებისა და პოპულარიზაციის მიზნებისთვის.



ხარისხი - სასამართლოში წარმომადგენლობა

ა)საჭიროა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მხარეთათვის ხარისხიანი იურიდიული სერვისების მიწოდებას ყველა ინსტანციის სასამართლოში, რათა ეფექტიანად იყოს დაცული სამართლიანი პროცესი და თავიდან იქნას აცილებული იურიდიული შეცდომები სამართალწარმოების დროს;

ბ)მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობისა და მხარეთა კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, ადვოკატთა ასოციაციაში დაფუძნდეს პრო-ბონო ცენტრი, რომელიც, რეფერალური მექანიზმის გამოყენებითა და მაღალკვალიფიციური ადვოკატების ჩართულობით, იურიდიულ დახმარებას გაუწევს იმ შეჭირვებულ და მოწყვლად ჯგუფებს, რომელთაც არ ფარავს იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისი სერვისები.



ხარისხი - ვიწრო სპეციალიზაციის სისტემა

ა)შესწავლილ და იდენტიფიცირებულ იქნას სამართლის ის ვიწრო სფეროები, რომელშიც მიზანშეწონილია დამატებითი სპეციალიზაციის დანერგვა;

ბ)იურიდიულ პროფესიაში პოპულარიზაცია გაეწიოს ნებაყოფლობითი ვიწრო სპეციალიზაციის სისტემას;

გ)შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური სერთიფიცირებული კურსები სამართლის დარგების ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით - მაგ. საოჯახო სამართალი, საგადასახადო სამართალი, სამედიცინო სამართალი, საავტორო სამართალი, და ა.შ.

დ)შემუშავდეს ადვოკატთა ვიწრო სპეციალიზაციის რეესტრი, რომელიც იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი;

ე)მოსამართლეთა დანიშვნა და დაწიანურება მკაცრად უნდა ეფუძნებოდეს მათ სპეციალიზაციას, სამოსამართლო გამოცდისა და სამოსამართლო კარიერის გათვალისწინებით.



ხარისხი - განგრძობადი განათლების სისტემების სინქრონიზაცია

იმის გამო, რომ არ არსებობს მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა ტრენინგ-ინსტიტუციების თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის სისტემური ფორმატი, საჭიროა შეიქმნას მუდმივმოქმედი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც:

- ❑ შეისწავლის და განსაზღვრავს მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა საერთო ტრენინგ საჭიროებებს;
- ❑ კოორდინაციას გაუწევს შესაბამისი მოდულების, კურსების, პროგრამების შემუშავებას;
- ❑ მონიტორინგს გაუწევს შემუშავებული მოდულების, კურსების და პროგრამების განხორციელების პროგრესს.



ხარისხი – ელექტრონული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება

იმისთვის, რომ შემცირდეს სამართალწარმოების გაჭიანურების შემთხვევები, საჭიროა, განვითარდეს სპეციალური და მრავალფუნქციური ელექტრონული მართლმსაჯულების პლატფორმა. აღნიშნულმა პლატფორმამ უნდა გააუმჯობესოს სასამართლოსთან დროული კომუნიკაცია, დოკუმენტების მიმოცვლის ეფექტურობა და ონლაინ სხდომის ჩატარების ხარისხი და ასევე უნდა უზრუნველყოს სამართლიანი პროცესის ადმინისტრირება.



სამოქმედო გეგმის შინაარსი

1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სრული პროცესის ყოვლისმომცველი შეფასება და ანალიზი;
2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების გაძლიერება;
3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პოპულარიზაციის კომპლექსური კამპანიის შემუშავება და განხორციელება;
4. მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა ცოდნისა და უნარების გაძლიერება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის წარმართვაში;
5. ნაფიც მსაჯულთა განსჯადი დანაშაულების გაფართოება;
6. დიდი ჟიურის მექანიზმის დანერგვის საკითხის შესწავლა;
7. ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა სპეციალური შემადგენლობის კომერციულ პალატებთან დაკავშირებით და მსგავსი მოდელის საქართველოს სასამართლო სისტემაში ინტეგრირების გეგმის შედგენა;
8. კომერციული მედიაციის ეტაპის პოპულარიზაცია განსაზღვრულ საქმეებზე;
9. პროფესიათაშორისი პლატფორმის დაარსება ADR-ის მექანიზმების განვითარების მიზნით;
10. ADR-ის პოპულარიზაციის კომპლექსური კამპანიის დაგეგმვა-განხორციელება;
11. საკანონმდებლო ცვლილებები იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოში დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუციების წარმომადგენლობის მიზნით;
12. მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ კანდიდატთა ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების მიზნით შესაბამისი შიდა მექანიზმების დანერგვა;
13. ბენჩ-ბარის მექანიზმის შემდგომი გაძლიერება და გაფართოება ადგილობრივ (რეგიონულ) დონეზე;
14. საკანონმდებლო ცვლილებები ყველა ინსტანციის სასამართლოში ხარისხიანი იურიდიული სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად;
15. ადვოკატთა ასოციაციაში პრობონო ცენტრის დაარსება;
16. ვიწრო სპეციალიზაციის სისტემის დანერგვა და პოპულარიზაცია; ადვოკატთა შესაბამისი რეესტრის ამოქმედება;
17. განგრძობადი განათლების სისტემის სინქრონიზაციის მიზნით მულტიმომოქმედი საკოორდინაციო ჯგუფის დაარსება;
18. ელექტრონული მართლმსაჯულების პლატფორმის განვითარება.

საქართველოს
ადვოკატთა
ასოციაცია



10 ივნისი 2021